

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
---------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საკმევანობა	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	18
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
6. ძირითადი საშუალებები	22
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	23
9. დებიტორული მოთხოვნები	23
10. ავანსები	24
11. მიღებული სესხები	24
12. კრედიტორული დავალიანებები	25
13. მიღებული ავანსები	25
14. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	25
15. კაპიტალი	25
16. შემოსავლები	26
17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	26
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	26
19. სხვა შემოსავალი	27
20. მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	27
21. ფინანსური ხარჯი	27
22. მოგების გადასახადი	27
23. ფინანსური რისკის მართვა	28
24. დაკავშირებული მხარეები	31
25. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლ. ენდ ლ“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლ. ენდ ლ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავნიშნულვართ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 202 ათასი ლარით (2017 წლის 31 დეკემბერი: 82 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ მარაგებში. ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში, ვინაიდან მარაგების ნაშთში მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია სოფიკო ღუდუშაური.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

სოფიკო ღუდუშაური

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი

შპს „ლ. ენდ ლ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი , 2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,833	5,700
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,833	5,700
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	122	246
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	202	82
დებიტორული მოთხოვნები	9	664	104
ავანსები	10	293	96
სულ მიმდინარე აქტივები		1,281	528
სულ აქტივები		10,114	6,228
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	7,616	5,392
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,616	5,392
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	12	4,646	1,802
მიღებული ავანსები	13	335	-
მიღებული სესხები	11	-	766
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	14	159	15
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,140	2,583
სულ ვალდებულებები		12,756	7,975
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		117	117
გაუნაწილებელი მოგება		(2,759)	(1,865)
სულ კაპიტალი	15	(2,642)	(1,748)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,114	6,227

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია

დირექტორი

ლელა კოკია

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

8-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლ. ენდ ლ“
 სრული შემოსავალის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავლები	16	7,080	3,405
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების	17	(6,778)	(2,783)
საერთო მოგება		302	622
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(761)	(963)
სხვა ხარჯი		(105)	(15)
საოპერაციო ზარალი		(564)	(356)
სხვა შემოსავალი	19	138	143
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	20	87	(735)
ფინანსური ხარჯი	21	(555)	(598)
ზარალი დაბეგვრამდე		(894)	(1,546)
მოგების გადასახადი	22	-	-
წლის სრული ზარალი		(894)	(1,546)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია	ლელა კოკაია
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
30 სექტემბერი, 2019	30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ. ენდ ლ“
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	117	(319)	(202)
წლის სრული ზარალი	-	(1,546)	(1,546)
31 დეკემბერი 2017	117	(1,865)	(1,748)
წლის სრული ზარალი	-	(894)	(894)
31 დეკემბერი 2018	117	(2,759)	(2,642)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია
 დირექტორი

ლელა კოკაია
 მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(894)	(1,546)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა	881	504
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(22)	(28)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	68	-
ფინანსური ხარჯი	555	598
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	(87)	735
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>		
მარაგების ცვლილება	(120)	(76)
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	144	(2)
დებიტორული მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ცვლილება	(825)	(145)
მიღებული ავანსების ცვლილება	335	-
კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	2,856	1,571
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,891	1,611
გადახდილი პროცენტები	(179)	(57)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	2,712	1,554
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,934)	(3,342)
ძირითადი საშუალებების გასხვისება	98	55
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,836)	(3,287)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ფინანსური ვალდებულებების დაფარვა	(1,926)	(916)
მიღებული სესხები	2,904	2,309
მიღებული გრანტი	-	112
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან	978	1,505
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(146)	(228)
სავალუტო კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	22	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	246	476
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	122	246

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია	ლელა კოკაია
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
30 სექტემბერი, 2019	30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ლ. ენდ ლ“ (კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2013 წლის 11 აპრილს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ასფალტის წარმოება.

კომპანიის მფლობელები არიან ლევან დადიანი (22%), ლევან კანდელაკი (22%), ვლადიმირ იარმალჩუკი (25.5%), ბესარიონ მარშანია (5%) და მიხეილ ვოლფი (25.5%). ვლადიმირ იარმალჩუკი და მიხეილ ვოლფი არ არიან საქართველოს რეზიდენტები, კომპანიის სხვა ყველა მფლობელი არის საქართველოს რეზიდენტი.

კომპანიის მმართველი არის დირექტორი. კომპანიის ყოველდღიური ოპერაციები წარიმართება ასევე დირექტორის მიერ.

კომპანიის ფაქტიური და რეგისტრირებული მისამართი არის გლდანის რ-ნი შემოსასვლელი გზის მე-13 კილომეტრი, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში თუ სხვაგვარად არ არის მითითებული მე-3 შენიშვნაში წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობას სჯერა რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის სასესხო ვალდებულება რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძირითად ვალდებულებას არის დაკავშირებული მხარისგან, რომლის გადახდაც გადავადდა 2020 წლამდე, კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური რესურსების საჭიროების შემთხვევაში მიიღებს დახმარებას დამფუძნებლებისგან. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები წაოპერაციო საქმიანობიდან რომელიც 2018 წელს შეადგენს 2,712 ათას ლარს (2017: 1,554 ათას ლარს), ასევე კომპანიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიცია ძირითად საშუალებებში საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას, შესაბამისად ვარაუდობს რომ გაზრდის შემოსავლებს და შესაბამისად დააგენერირებს მოგებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუნერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის (იხილეთ მე-4 შენიშვნა). თითოეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

კომპანიას არ გადაუნაგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია წარდგენილია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები, მსგავსის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-მ, საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური აქტივების შინაარსიდან გამომდინარე.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის შემოსავლის წყარო, საბაგიროს გამოყენებისთვის საჭირო ბილეთების რეალიზაცია, არ წარმოადგენს ისეთი ტიპის შემოსავალს, რომელიც შესაძლოა, რომ გადანაწილდეს რაიმე პერიოდზე აქედან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობა ნაგებობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდის და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოს აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა

გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე.

თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამოიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამოიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღრებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შემენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები თავისი დაკავშირებული მხარისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დავიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო

ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

წინასწარგადახდები

წინასწარგადახდები ხორციელდება გადაფასებით დაკორექტირებული ღირებულებით. წინასწარგადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც წინასწარგადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება რეალიზებული იქნება წინასწარგადახდის მომენტიდან არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში, ან აღნიშნული საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარებისას დაკლასიფიცირდა, როგორც გრძელვადიანი. აქტივის დაუფლებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები შევა აქტივის მიმდინარე ღირებულებაში იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აღნიშნულ აქტივზე და გარანტირებული იქნება მომავალში მისგან სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარგადახდები ჩამოიწერება როდესაც მიიღება მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ ვერ მოხერხდება იმ აქტივის, საქონლის ან მომსახურების მიღება რომელიც წინასწარგადახდასთანაა დაკავშირებული, წინასწარგადახდილი თანხის მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება მოკორესპონდენტო გაუფასურების ზარალი.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამუშნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კოტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში / გაუნაწილებელ მოგებაში.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი დეკლარირება და აღიარება. ინფორმაცია დივიდენდებზე, რომელთა დეკლარირება ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროებამდე, წარმოდგენილია პერიოდის შემდგომი მოვლენების ამსახველ შენიშვნაში.

თანამშრომელთა ხარჯები და სხვა სარგებლები

ხელფასების, ბონუსებისა და სხვა არაფულადი სარგებლების დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ამ და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიღება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელსაც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044
	2018	2017
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>		
1 USD/GEL	2.5345	2.5086
1 EUR/GEL	2.9913	2.8322

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანია იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალ ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მენეჯმენტის მხრიდან მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას, დაშვებების გაკეთებას და შეფასებებს რაც გავლენას ახდენს შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობაზე, ასევე

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის სავაჭრო მოთხოვნებს რომ შეაფასოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დადგენა ხდება მისი აღიარების მიზნით. კომპანია თავისი სავაჭრო მოთხოვნების რეზერვებს განსაზღვრავს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებული მხარეების გარიგებები. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები

კომპანიის მხრიდან ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მომველებული ტექნოლოგიური ან კომერციული თვალსაზრისით, აქტივის გამოყენების მოსალოდნელი პოტენციალი (რომელიც დგინდება მისი მოსალოდნელი ფიზიკური მწარმოებლურობითა და ცვეთის დონით, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე). თუმცა, ხელმძღვანელობის დიდი მცდელობის მიუხედავად, სავარაუდო და რეალური პატერნები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი, 2016	9	160	37	41	2,731	2,978
მატება	132	2,621	58	65	466	3,342
შიდა მოძრაობა	2,954	-	-	-	(2,954)	-
გასხვისება	-	(72)	-	-	-	(72)
31 დეკემბერი, 2017	3,095	2,709	95	106	243	6,248
მატება	119	78	437	25	3,431	4,090
გასხვისება	-	(87)	(5)	-	-	(92)
31 დეკემბერი, 2018	3,214	2,700	527	131	3,674	10,246
<i>აკუმულირებული ამორტიზაცია</i>						
31 დეკემბერი, 2016	-	81	7	1	-	89
წლის ცვეთის დარიცხვა	108	369	19	8	-	504
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	(45)	-	-	-	(45)
31 დეკემბერი, 2017	108	405	26	9	-	548
წლის ცვეთის დარიცხვა	157	626	78	20	-	881
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	(14)	(2)	-	-	(16)
31 დეკემბერი, 2018	265	1,017	102	29	-	1,413
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2017	2,987	2,304	69	97	243	5,700
31 დეკემბერი, 2018	2,949	1,683	425	102	3,674	8,833

კომპანიამ სახელმწიფოსგან შეიძინა მიწა სიმბოლურ ფასად - 1 ლარად 2016 წელს. კომპანია აღრიცხვას მიწას თვითღირებულებით. ამ მიწის შეძენას თან ახლავს გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულება კომპანიის მხრიდან.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული საბანკო ანგარიშებზე	121	36
ფული სალაროში	1	-
საბანკო გარანტია	-	210
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	122	246

ფულადი სახსრები განთავსებულია ქართულ ბანკებში და არის დაბალი რისკის მატარებელი. მოკლევადიანი ხასიათის გამო ფულს და ფულის ეკვივალენტებზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნედლეული	195	1
საწარმოო მარაგები	3	14
გასაყიდად მზა პროდუქცია	2	59
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	2	8
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	202	82

9. დებიტორული მოთხოვნები

კომპანიის დებიტორული მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო მოთხოვნები	441	104
მოთხოვნები კომპანიის პერსონალის მიმართ	291	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(68)	-
სულ დებიტორული მოთხოვნები	664	104

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს არ ერიცხებათ პროცენტი. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნების მიღების პერიოდი არის 30-90 დღე.

მოსალოდნელი საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	2018	2017
1 იანვარი	-	-
დარიცხვა	68	-
31 დეკემბერი	68	-

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

10. ავანსები

კომპანიის ავანსები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
დაკავშირებული მხარებისადმი გადახდილი ავანსები	42	87
მესამე პირისადმი გადახდილი ავანსები	251	9
	293	96

კომპანიის ავანსები დამოკიდებულია მეორე მხარეზე, წარმოდგენილი ავანსები აღებულია საოპერაციო საქმიანობებიდან და არ ერიცხება პროცენტი.

11. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნასესხები სახსრები					
ვითიბი ბანკი	13.75%	9/15/2019	ლარი	-	641
სალიზინგო			აშშ		
ვალდებულება	8.60%	9/15/2019	დოლარი	-	121
				-	762
დარიცხული პროცენტი ნასესხებ სახსრებზე- ვითიბი					
ბანკი			ლარი	-	4
სულ მიმდინარე ვალდებულებები და დარიცხული პროცენტი				-	766
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და დარიცხული პროცენტები					
GLADSTONE ALLIANCE	8.6%	9/15/2020	ევრო	4,446	4,501
საკრედიტო ხაზი	11.5%	6/5/2023	ლარი	159	-
საკრედიტო ხაზი	11.5%	6/5/2023	ლარი	419	-
საკრედიტო ხაზი	11.5%	7/5/2021	ლარი	147	-
საკრედიტო ხაზი	11.5%	7/5/2023	ლარი	1,129	-
სალიზინგო			აშშ		
ვალდებულება	34.5%	9/25/2020	დოლარი	61	-
სალიზინგო			აშშ		
ვალდებულება	35.1%	10/26/2020	დოლარი	53	-
სალიზინგო			აშშ		
ვალდებულება	22.1%	9/15/2019	დოლარი	44	109
				6,458	4,610
სესხზე დარიცხული პროცენტები დაკავშირებული					
მხარისგან			ევრო	1,158	782
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და დარიცხული პროცენტები				7,616	5,392

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

12. კრედიტორული დავალიანებები

კომპანიის კრედიტული დავალიანებები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო ვალდებულებები	4,637	1,794
ვალდებულებები მიღებული სერვისიდან	8	7
გადასახდელი ხელფასები	1	1
სულ კრედიტორული დავალიანება	4,646	1,802

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ჩვეულებრივ იფარებიან 60 დღეში.

13. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები წარმოადგენს პროდუქციის მიწოდებისთვის გადახდილ თანხებს კონტრაგენტი კომპანიების მიერ. მთლიანი მიღებული ავანსების 97% არის მიღებული საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის.

14. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
საგადასახადო ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადი	(107)	(15)
გადასახდელი დღგ	(134)	-
საგადასახადო აქტივები		
გადახდილი დღგ	82	-
სულ საგადასახადო აქტივები, წმინდა	(159)	(15)

15. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და აკუმულირებული ზარალისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა 2017 და 2018 წლებში.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

16. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები 2018 და 2017 წლებში შემდეგია:

	2018	2017
შემოსავალი ასფალტის რეალიზაციიდან	3,212	2,156
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,361	935
საიჯარო შემოსავალი	371	249
სხვა შემოსავალი	136	65
სულ შემოსავალი	7,080	3,405

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2017 წლებში შემდეგია:

	2018	2017
ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება	4,921	2,146
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	843	253
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	641	365
ხელფასები	370	9
სხვა ხარჯები	3	10
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების	6,778	2,783

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლებში შემდეგია:

	2018	2017
ხელფასები	511	503
ცვეთის ხარჯი	38	251
კომუნიკაციის ხარჯი	49	24
საწვავის ხარჯი	48	-
რემონტის ხარჯები	44	-
სამართლებრივი და საკონსულტაციო ხარჯები	35	26
ჯარიმის ხარჯები	15	-
ნედლეული	13	7
საგადასახადო ხარჯები	5	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3	22
ქირის ხარჯი	-	130
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	761	963

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

19. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალი 2018 და 2017 წლებში შემდეგია:

	2018	2017
ხარჯთან დაკავშირებული გრანტი	116	109
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	22	28
სხვა	-	6
სულ სხვა შემოსავალი	138	143

20. მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

კომპანიის მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა 2018 და 2017 წლებში შემდეგია:

	2018	2017
არარეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	65	(733)
რეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	22	(2)
სულ მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	87	(735)

21. ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი 2018 და 2017 წლებში შემდეგია:

	2018	2017
ნასესხები სახსრების პროცენტი	487	569
საბანკო გარანტია	-	17
ფინანსური ლიზინგის ხარჯი	68	12
სულ საპროცენტო ხარჯი	555	598

22. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% * 15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

კომპანიას არ გაუცხადებია დივიდენდი და შესაბამისად არ აქვს მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდზე 2018 და 2017 წლებში.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში. სირთულე წამოიშვება სავალუტო კურსისგან, რომელიც ჩნდება კომპანიის შენამძენებიდან, რომლებიც ძირითადად ხორციელდება ევროში. კომპანიას აგრეთვე აქვს სესხები ამერიკულ დოლარსა და ევროში, რომლითაც იყო დაფინანსებული მიმდინარე პროექტის განსახორციელება.

31 დეკემბერი, 2018	ლარი	ევრო	აშშ დოლარი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	106	16	-
დებიტორული მოთხოვნები	664	-	-
	770	16	-
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	1,854	5,604	158
კრედიტორული დავალიანება	2,805	1,841	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,659	7,445	158
ღია სავალუტო პოზიცია	(3,889)	(7,429)	(158)

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2017	ლარი	ევრო	აშშ დოლარი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	246	-	-
დებიტორული მოთხოვნები	104	-	-
სულ ფინანსური აქტივები	350	-	-
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	645	5,283	230
კრედიტორული დავალიანება	127	1,676	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	772	6,959	230
ღია სავალუტო პოზიცია	(422)	(6,959)	(230)

წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის დამოკიდებულებას 20%-იან ზრდასთან და ლარის გაუფასურებასთან დოლარის და ევროს მიმართ. 20% წარმოადგენს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას შესაძლო საკურსო ცვლილებებთან. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ საბალანსო ნაშთებს და აკორექტირებს ამ ნაშთებს 20% იანი საკურსო სხვაობის მერყეობით.

დადებითი რიცხვი წარმოადგენს მოგების ან ზარალის ზრდას, სადაც ლარი მყარდება წარმოდგენილი ვალუტის მიმართ:

	დოლარის ეფექტი 2018		ევროს ეფექტი 2018		დოლარის ეფექტი 2017		ევროს ეფექტი 2017	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
მოგება/(ზარალი)	(32)	32	(1,486)	1,486	(46)	46	(1,392)	1,392

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, რაც განპირობებულია კომპანიის მიერ აღებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	732	104
ფული ბანკში	121	36
სულ საკრედიტო რისკი	853	140

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის მიერ ვალდებულების ვერ შესრულების რისკი.

კომპანიის პოლიტიკაა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკმარისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2018	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	122	-	122
დებიტორული დავალიანება	664	-	664
სულ ფინანსური აქტივები	786	-	786
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
კრედიტორული დავალიანება	4,646	-	4,646
მიღებული სესხები	-	7,616	7,616
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,646	7,616	12,262
ლიკვიდურობის გარღვევა	(3,860)	(7,616)	(11,476)
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(3,860)	(11,476)	

31 დეკემბერი, 2018	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	246	-	246
დებიტორული დავალიანება	104	-	104
სულ ფინანსური აქტივები	350	-	350
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
კრედიტორული დავალიანება	1,802	-	1,802
მიღებული სესხები	-	5,392	5,392
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,802	5,392	7,194
ლიკვიდურობის გარღვევა	(1,452)	(1,452)	(1,452)
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(1,452)	(2,904)	

შპს „ლ. ენდ ლ“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს კაპიტალს, რომელიც შედგება კაპიტალის, აკუმულირებული ზარალისა და დავალიანებებისგან.

ხელმძღვანელობა აფასებს კაპიტალის მოთხოვნებს, იმისთვის რომ შეინარჩუნოს ეფექტიანი საერთო დაფინანსების სტრუქტურა გადაჭარბებული ლევერიჯის თავიდან აცილების პროცესში. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის დავალიანებების შესაბამისი სუბორდინირებული დონეების მინიჭებას. აგრეთვე დიდი დენდის თანხის გაცემა, კაპიტალის დაბრუნება მესაკუთრეებზე და ახალი აქციების გამოშვების დაკორექტირება.

24. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები, ხელმძღვანელობა, სხვა კომპანიები რომლებიც იმყოფებიან ამ კომპანიის მფლობელთა საკუთრებაში. დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული შესყიდვები და გაყიდვები და მასთან დაკავშირებული ვადები ეფუძნება გაშლილი ხელი პრინციპს. კომპანიას არ აქვს აღრიცხული დაკავშირებულ მხარესთან არსებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება. აღნიშნული შეფასება ხდება ყოველ ფინანსურ წელს, დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და იმ ბაზრის განხილვით რომელშიც დაკავშირებული მხარე ფუნქციონირებს.

დაკავშირებული მხარეების ნაშთები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
დებიტორული დავალიანება	331	87
მიღებული სესხები	5604	5,283

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები:

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	373	569

ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი და სხვა სარგებელი:

	2018	2017
ხელფასი და სხვა სარგებელი	199	140

25. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

კომპანია საქმიანობს საგადასახადო გაურკვევლობის პირობებში. საქართველოს საგადასახადო სისტემა არის შედარებით ახალი და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომელიც ხშირად არ არის ნათელი და საკითხის განსხვავებულად ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოებს არ შეუძლიათ დააკისრონ რაიმე სახის გადასახადი, ჯარიმა ან საურავი თუ

25. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრელება)

ეს მოხდა საანგარიშგებო პერიოდიდან 3 წლის წინ. აღნიშნული გარემოებებს შედეგად გამოწვეული საგადასახადო რისკები უფრო მაღალი იქნება სხვა ქვეყნებთან შედარებით. ყველა შესაძლო გაუთვალისწინებელი საგადასახადო ვალდებულებები არის დარეზერვებული და შესაბამისად აღრიცხული კომპანიის მიერ. კომპანიის მიმართ არსებობს გარკვეული საჩივრები და სამართლებრივი დავები, თუმცა არსებობს საკმარისი რწმუნება რომ აღნიშნულ საჩივრებს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

26. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში ან შემდგომ არ აღინიშნება მნიშვნელოვანი ტრანზაქციები.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია სოფიკო ლუდუშაური.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

სოფიკო ლუდუშაური

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი



Closer to you

შპს „ლ. ენდ ლ“


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი , 2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,833	5,700
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,833	5,700
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	122	246
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	202	82
დებიტორული მოთხოვნები	9	664	104
ავანსები	10	293	96
სულ მიმდინარე აქტივები		1,281	528
სულ აქტივები		10,114	6,228
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	7,616	5,392
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,616	5,392
მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-
კრედიტორული დავალიანება	12	4,646	1,802
მიღებული ავანსები	13	335	-
მიღებული სესხები	11	-	766
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	14	159	15
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,140	2,583
სულ ვალდებულებები		12,756	7,975
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		117	117
გაუნაწილებელი მოგება		(2,759)	(1,865)
სულ კაპიტალი	15	(2,642)	(1,748)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,114	6,227

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია

დირექტორი




30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

ლელა კოკია

მთავარი ბუღალტერი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო


შპს „ლ. ენდ ლ“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავლები	16	7,080	3,405
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების	17	(6,778)	(2,783)
საერთო მოგება		302	622
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(761)	(963)
სხვა ხარჯი		(105)	(15)
საოპერაციო ზარალი		(564)	(356)
სხვა შემოსავალი	19	138	143
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	20	87	(735)
ფინანსური ხარჯი	21	(555)	(598)
ზარალი დაბეგრამდე		(894)	(1,546)
მოგების გადასახადი	22	-	-
წლის სრული ზარალი		(894)	(1,546)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია

დირექტორი




30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია

მთავარი ბუღალტერი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ. ენდ ლ“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის


(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	117	(319)	(202)
წლის სრული ზარალი	-	(1,546)	(1,546)
31 დეკემბერი 2017	117	(1,865)	(1,748)
წლის სრული ზარალი	-	(894)	(894)
31 დეკემბერი 2018	117	(2,759)	(2,642)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია

დირექტორი




30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია

მთავარი ბუღალტერი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლ. ენდ ლ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(894)	(1,546)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა	881	504
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(22)	(28)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	68	-
ფინანსური ხარჯი	555	598
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობა, წმინდა	(87)	735
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>		
მარაგების ცვლილება	(120)	(76)
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	144	(2)
დებიტორული მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ცვლილება	(825)	(145)
მიღებული ავანსების ცვლილება	335	-
კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	2,856	1,571
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,891	1,611
გადახდილი პროცენტები	(179)	(57)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	2,712	1,554
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,934)	(3,342)
ძირითადი საშუალებების გასხვისება	98	55
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,836)	(3,287)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ფინანსური ვალდებულებების დაფარვა	(1,926)	(916)
მიღებული სესხები	2,904	2,309
მიღებული გრანტი	-	112
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან	978	1,505
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(146)	(228)
სავალუტო კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	22	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	246	476
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	122	246

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბესარიონ მარშანია

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

ლელა კოკაია

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.